საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000018926805021

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **6** **03 / თებერვალი / 2021 წ.**

# განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად საკრებულომ:

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დაშვებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში: მიკროავტობუსის მძღოლი -1, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი-1, მძღოლები მერიაში-4, ინფორმაციული ტექნოლოგიების - (IT) სპეციალისტი-1, მერის მრჩეველი-2, მერის თანაშემწე-1, მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1; ტექნიკური სპეციალისტი-1.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით .

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი